თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

მეიარაღის გოგონას ამბავი

ერთ ქალაქში ერთი მეიარაღე ცხოვრობდა. მას ყველანი უბედურ მეიარაღეს ეძახდნენ. უბედური კი იმის გამო იყო, რომ ულამაზესი მეუღლე ჰყავდა და მოუკვდა. დარჩა ერთადერთი გოგო. მეიარაღე უთენია მიდიოდა სახელოსნოში და საღამოს გვიან ბრუნდებოდა. ღამეს ოხვრასა და კვნესაში ატარებდა. ჯერ გათენებული არ იყო, რომ უკვე თავის სახელოსნოში ბორიალობდა. ბასრ ხმლებსა და შუბებს აკეთებდა კბილების კრაჭუნითა და მუქარით, რადგან იცოდა, რომ ამ ხმლებსა და შუბებს მყვირალა მეომრები დაიჭერდნენ ხელში. შესხდებოდნენ ფაფარაშლილ ჭიხვინა ცხენებზე, შეესეოდნენ მეზობელი ქვეყნის ბედნიერად მცხოვრებ ადამიანებს და მარტო ის აღარ იქნებოდა უბედური. დაე ქვეყნად სხვებმაც იგემონ, რა არის უბედურებაო, და მთელ დღეს თავაუღებლივ, გაცხარებით მუშაობდა.

ერთ დღეს განთიადის მქრქალ ცისფერ შუქზე დაინახა: ოთახის შუაგულში მისი გოგონა იდგა. უკვე დიდი იყო და თავის ლამაზ დედას ჰგავდა. ულამაზესი ყვავილები ეკავა და ლარნაკში აწყობდა.

უბედური მეიარაღე გაშტერებული იყო. უკვირდა, რომ მისი გოგონა ასე უეცრად გაზრდილიყო. ისიც უკვირდა, ყვავილები ასეთი ლამაზები რომ იყვნენ და თითქოს მისი საყვარელი მეუღლის თვალებით იყურებოდნენ ლარნაკიდან. ყვავილები სხვა დროსაც ენახა იმ ველებში, სადაც მეომრები ერთმანეთის ფარებზე ხმლების ხათქახუთქით სინჯავდნენ თავიანთი მარჯვენის ძალას. მაგრამ არც მას, უბედურ მეიარაღეს, და არც იმ მეომრებს ფიქრად არასოდეს მოსვლიათ, თუ შეიძლებოდა, რომ ყვავილები ასეთი ლამაზები ყოფილიყვნენ. მით უმეტეს, მეომრებს არ მოუვიდოდათ ფიქრად, რადგან ისინი სულ ყვიროდნენ. ყვირილისა და ხმლების ქნევის დროს კი დაკვირვების უნარი ერთმევა ადამიანს.

დიდხანს იყო გაშტერებული მეიარაღე და დაფიქრებული წავიდა სახელოსნოსკენ...

LIVEWORKSHEETS

სახელოსნოში იმ დღესაც ხმლებსა და შუბებს აკეთებდა, მაგრამ ისეთი სიჯიუტით ვეღარ, როგორც სხვა დროს. თვალწინ სულ თავისი გოგონა და ლარნაკში ჩადგმული ყვავილები ედგა. გული სულ მათკენ მიუწევდა და საღამოს, მზეს არც კი აცალა ჩასვლა, სახელოსნო დაკეტა, ჩქარი ნაბიჯით გასწია შინისკენ.

შინ მისულმა რაღაც უცნაური რამ იგრძნო. ეს თითქოს სინათლე, სითბო, სიწყნარე და სურნელება იყო ერთდროულად. თითქოს დაბრუნებულიყო ის უნეტარესი რაღაც, რომელიც საყვარელი მეუღლის აქ ყოფნის დროს ხდებოდა ხოლმე შინ და რომლის ფასიც მერე გაიგო, მარტოობაში...

„ეს ჩვენ მოგიტანეთ, ჩვენ!“ - ტიტინებდნენ ყვავილები.

და უბედურ მეიარაღეს პირველად გაეღიმა ცოლის სიკვდილის შემდეგ.

მისმა გოგონამ, რა თქმა უნდა, იმავე წამს შეამჩნია ეს ღიმილი. ნელი, მაგრამ გაბედული ნაბიჯებით წავიდა მისკენ, მივიდა სულ ახლოს, ოქროსთმიანი პატარა თავი ვეება მკერდზე მიადო და დაბლიდან შესცინა.

და ამ დღიდან ასე იყო: მეიარაღის გოგონა უთენია მიდიოდა ქალაქგარეთ, კრეფდა ყვავილებს და მოჰქონდა შინ. სახლი ივსებოდა ენით გამოუთქმელი სიწყნარით, სითბოთი, სინათლითა და სურნელებით.

ამ დღიდან ყველას ეშინოდა, მეიარაღისთვის უბედური მეიარაღე დაეძახა, რადგან ის უბედურად აღარ გრძნობდა თავს. ის უკვე ბედნიერი მამა იყო და უნდოდა, რომ სხვებიც ბედნიერები ყოფილიყვნენ ქვეყანაზე. დაანება ხმლებისა და შუბების კეთებას თავი, სხვადასხვაფერი ლითონებისაგან გამოჭედა დიდი ყვავილი, მიაჭედა სახელოსნოს კარს მაღლა და საოჯახო ნივთებისა და სამკაულების კეთებას მოჰკიდა ხელი.

ამ დღიდან გარეგნულადაც გამოიცვალა. თითქოს გაახალგაზრდავდა, გალამაზდა და გამხიარულდა.

ხალხს უკვირდა მისი ასეთი ფერისცვალება. ჩუმ-ჩუმად ადევნებდნენ თვალს, ნეტავ რა მოხდაო. და აი, ნახეს, რომ მეიარაღის ლამაზი გოგონა უთენია გადის ქალაქგარეთ, იქ სხვადასხვაფერ ყვავილებს კრეფს, მოაქვს შინ, აწყობს ლარნაკში.

უთუოდ ჯადოსნური ძალა აქვთ ამ ყვავილებსო, - იფიქრეს ქალებმა და გადაწყვიტეს, თვითონაც გამოეცადათ მათი ძალა (ისინი ხომ მეომრების შვილები, დები, მეუღლეები და დედები იყვნენ და ყოველი მათგანი დანატრებული იყო სიმშვიდესა და სიხარულს). თვითონაც დაკრიფეს ყვავილები, მოიტანეს შინ და ნახეს, რომ მათი სახლებიც აივსო სინათლით, სიწყნარითა და სითბოთი. მოხუცებმა გაახალგაზრდავება დაიწყეს, მეიარაღეებმა მახვილების

LIVEWORKSHEETS

ჭედვას თავი ანებეს და საოჯახო ნივთებისა და სამკაულების კეთებას შეუდგნენ. მყვირალა მეომრები დაჩუმდნენ, დაკვირვების უნარი დაუბრუნდათ, მიმოიხედეს ირგვლივ და მიწას მოუყარეს მუხლი. მიხვდნენ, რომ ყველაზე კარგი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე გულუხვი მიწაა.

და ცხოვრობდა ხალხი მშვიდად, ბედნიერად, მხიარულად მეიარაღის ლამაზი გოგონას წყალობით, უფრო სწორად, ყვავილების წყალობით.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რა არის I აბზაცის მთავარი სათქმელი?

ა) ადამიანს სხვისი უბედურება ბედნიერებას ვერ მოუტანს.
ბ) დარდის გაქარვება ადამიანს თავაუღებელი შრომით უადვილდება.
გ) პირადი უბედურება ზოგჯერ ადამიანის გაბოროტების მიზეზი ხდება.

2. რომელ წინადადებაშია გამოყენებული ეპითეტი?

ა) „მთელ დღეს თავაუღებლივ, გაცხარებით მუშაობდა“.
ბ) „შესხდებოდნენ ფაფარაშლილ ჭიხვინა ცხენებზე“.
გ) „ხმლებსა და შუბებს აკეთებდა კბილების კრაჭუნითა და მუქარით“.

3. მეიარაღე მთელ დღეს თავაუღებლივ მუშაობდა, რათა:

ა) ბევრი იარაღი გაეკეთებინა და რაც შეიძლება მეტი ადამიანი გაუბედურებულიყო.
ბ) მისი გაკეთებული ბასრი ხმლები და შუბები ამაყად დაეჭირათ ხელში მეომრებს.
გ) მყვირალა მეომრებს მისი გაკეთებული იარაღით ქვეყნის მტრები დაემარცხებინათ.

4. „ერთ დღეს განთიადის <u>მქრქალ</u> ცისფერ შუქზე დაინახა... გოგონა იდგა“. რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვა?

ა) მუქს. ბ) ნათელს. გ) ფერმკრთალს.

LIVEWORKSHEETS

5. რატომ მოეწონა შინ დაბრუნებულ მეიარაღეს ყვავილები?

ა) ასეთი სილამაზის ყვავილები არასოდეს ენახა.

ბ) აღმოაჩინა, რომ ყვავილები თავის გოგონას ჰგავდნენ.

გ) ყვავილების სილამაზის აღმოჩენამ მეუღლე გაახსენა.

6. რატომ ვერ ამჩნევდნენ მეომრები ყვავილებს?

ა) ბრძოლისას დაკვირვების უნარი ერთმევა ადამიანს.

ბ) ბრძოლის ველზე ყვავილები არ იყო.

გ) ისინი სულ ფაფარაშლილ ცხენებზე ისხდნენ.

7. რატომ მიუწევდა მეიარაღეს გული შინისაკენ?

ა) საოჯახო ნივთებსა და სამკაულებს ყველაზე კარგად შინ აკეთებდა.

ბ) სახლში ყვავილების სახით სითბო, სიწყნარე და სინათლე ელოდა.

გ) შინ ყველაზე მეტს ფიქრობდა საკუთარ მარტოობაზე.

8. რატომ კრეფდა გოგონა ყვავილებს ყოველ დილით?

ა) მიხვდა, რომ ეს მამას ბედნიერებას ანიჭებდა.

ბ) უნდოდა, რომ სხვებსაც მიებაძათ მისთვის.

გ) ფიქრობდა, რომ ამით თავს უკეთ იგრძნობდა.

9. რომელი წინადადებიდან ჩანს მეიარაღის სასიკეთო ფერისცვალება?

ა) „მთელ დღეს თავაუღებლივ, გაცხარებით მუშაობდა“.

ბ) „უკვირდა, ყვავილები ასეთი ლამაზები რომ იყვნენ“.

გ) „უნდოდა, რომ სხვებიც ბედნიერები ყოფილიყვნენ ქვეყანაზე“.

10. მეიარაღის ფერისცვალება მიაწერეს იმას, რომ:

ა) გოგონას დაუზარლად მოჰქონდა შინ ყვავილები.

ბ) მყვირალა მეომრები დადუმდნენ.

გ) ყვავილებს ჯადოსნური ძალა ჰქონდა.

LIVEWORKSHEETS

11. „უთუოდ ჯადოსნური ძალა აქვთ ამ ყვავილებსო, - იფიქრეს ქალებმა“. რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვა?

ა) ვაითუ. ბ) იქნებ. გ) უეჭველად.

12. როგორ გესმით ხაზგასმული ფრაზეოლოგიური გამოთქმა: მეომრებმა „მიმოიხედეს ირგვლივ და მიწას მოუყარეს მუხლი.“

ა) მადლიერება გამოხატეს.

ბ) მიწაზე დასხდნენ.

გ) მიწის დამუშავება გადაწყვიტეს.

13. რომელ წინადადებაშია ფრაზეოლოგიური გამოთქმა?

ა) „ნივთებისა და სამკაულების კეთებას მოჰკიდა ხელი“.

ბ) „სახლი ივსებოდა ენით გამოუთქმელი სიწყნარით“.

გ) „ხალხს უკვირდა მისი ასეთი ფერისცვალება“.

14. რას უპირისპირებს ავტორი ერთმანეთს მოთხრობის მთავარი სათქმელის გადმოსაცემად?

ა) ოცნებასა და რეალობას.

ბ) სიბრძნესა და უგუნურებას.

გ) სილამაზესა და ბოროტებას.

15. რა არის ამ მოთხრობის მთავარი სათქმელი?

ა) გონიერებას შეუძლია ადამიანი სწორ გზაზე დააყენოს.

ბ) რეალობას ადამიანმა დროულად უნდა გაუსწოროს თვალი.

გ) სილამაზეს შეუძლია სიკეთე გააღვიძოს ადამიანში.

LIVEWORKSHEETS